საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

30/ 10 2015 წ. თბილისი № 839

ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ინფორმირებულობისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებულ კამპანიასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ინფორმირებულობისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინტეგრირებული კომუნიკაციისა და გრძელვადიანი კამპანიის (შემდგომში – კამპანია) განხორციელებასთან დაკავშირებით დაევალოს:

ა) სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს შემდეგი ღონისძიებების ორგანიზება:

ა.ა) სოციალური პასუხისმგებლობის ვიდეორგოლის მომზადება და მისი სატელევიზიო სივრცეში განთავსება;

ა.ბ) კამპანიის ფარგლებში კონკურსების გამოცხადება, საუკეთესო ნამუშევრების ავტორთა გამოსავლენად ჟიურის შექმნა, გამარჯვებულთა გამოვლენა და დაჯილდოება;

ა.გ) საინფორმაციო შეხვედრების გამართვა აღნიშნულ თემაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან;

ა.დ) კამპანიის ლოგოს, საინფორმაციო-საიმიჯო ბანერების, ამოსაქაჩი სტენდების (შტენდერი), გარე რეკლამისათვის საინფორმაციო ბანერების, სტიკერების, საინფორმაციო ფურცლების (ფლაერი), კამპანიისათვის საჭირო სხვადასხვა სახის საინფორმაციო (პრომო) მასალის დიზაინის შექმნა და დამზადება;

ა.ე) დედაქალაქისა და ქვეყნის სხვა ქალაქების ქუჩებში, ავტომაგისტრალებზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე საინფორმაციო-საიმიჯო ბანერებისა და სტიკერების განთავსება;

ა.ვ) საგზაო მოძრაობის შესახებ მოზარდთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტის განხორციელება/შეხვედ-რების გამართვა სკოლის მოსწავლეებთან;

ა.ზ) კამპანიის ფარგლებში განსახორციელებელი სხვა ღონისძიებები;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტსა და ლოჯისტიკის დეპარტამენტს „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროს დანაყოფებს კამპანიის ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში.

2. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი გიორგი მღებრიშვილი